



რეგისტრაციის N \_\_\_\_\_

მიღების თარიღი: \_\_/\_\_/\_\_

## „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრება

„სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრების ფორმასთან დაკავშირებით, კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე +995 422-27-00-99 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მისამართზე: [const@constcourt.ge](mailto:const@constcourt.ge); ვებგვერდი: [www.constcourt.ge](http://www.constcourt.ge)

თუ რომელიმე პუნქტის შესავსებად გამოყოფილი ადგილი არ იქნება საკმარისი, შეგიძლიათ ფორმას დამატებითი გვერდი დაურთოთ. ყოველ დამატებით გვერდზე გადაიტანეთ იმ პუნქტის სათაური, რომელსაც ავსებთ. წერის დასრულების შემდეგ ფორმა დანომრეთ.

## I. ფორმალური ნაწილი

### 1. მოსაზრების ავტორის რეკვიზიტები:

თბილისის თავისუფალი  
უნივერსიტეტი

სახელი, გვარი/სახელწოდება

პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი

0322 20 09 01

ქ. თბილისი, დავით  
აღმაშენებლის ხეივანი #240

მისამართი

ალტერნატიული მისამართი

ტელეფონი

ელექტრონული ფოსტა

### 2. საქმის დასახელება, რომელთან დაკავშირებით არის შედგენილი მოსაზრება [შენიშვნა 1](#)

კონსტიტუციური სარჩელი # 631 - საქართველოს მოქალაქე გიორგი ფუტკარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

შენიშვნა 1 - ქვემოთ მოცემულ ველში უნდა მიეთითოს კონსტიტუციური სარჩელის ნომერი, მოსარჩელისა და მოპასუხის დასახელება ან/და სხვა ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც სასამართლოსთვის ცხადი გახდება, თუ რომელ საქმესთან დაკავშირებითაა მომზადებული მოსაზრება.

## II. „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრება შენიშვნა 2

წინამდებარე სასამართლოს მეგობრის მოსაზრება შეეხება #631 საკონსტიტუციო სარჩელს საქართველოს მოქალაქე გიორგი ფუტკარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. აღნიშნულ საქმეში მოსარჩელე ითხოვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე მუხლის პირველი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობას: „პორნოგრაფიული ნაწარმოების, ნაბეჭდი გამოცემის, გამოსახულების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადება, გავრცელება ან რეკლამირება, აგრეთვე ასეთი საგნით ვაჭრობა ანდა მისი შენახვა გაყიდვის ან გავრცელების მიზნით, – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით“. სასამართლოს მეგობრის მოსაზრების ავტორები არიან თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტები: ელენე სამადბეგიშვილი, ნინო კოტიშაძე, მარიტა მაზანიშვილი, გიორგი გვიმრაძე და ლადო ბატიაშვილი, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებებს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილთან მიმართებით, ასევე მიმოიხილავენ კანონის განჭვრეტადობას EctHR-ის, კანადის, ისრაელის და გერმანიის მაგალითებზე.

### საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტიდან გამომდინარე განჭვრეტადობის პრინციპზე საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე მნიშვნელოვანი განმარტება აქვს გაკეთებული.

თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის ხსენებული ნორმის პირველ წინადადებას (არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა) სასამართლო ფართოდ განმარტავს და აღნიშნავს: „[აღნიშნული ნორმა] არა მხოლოდ განსაზღვრავს პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის შესაბამისი კანონის არსებობის აუცილებლობას, არამედ ადგენს პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი კანონის ხარისხობრივ სტანდარტებს“.<sup>1</sup> სწორედ აქედან გამომდინარეობს ნორმისადმი განჭვრეტადობის მოთხოვნა.

---

შენიშვნა 2 - ქვემოთ მოცემულ ველში უნდა მიეთითოს „სასამართლოს მეგობრის“ არგუმენტები და მის მიერ მოყვანილი მტკიცებულებები რომლებითაც ის ასაბუთებს საქმესთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებას.

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მასიაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-29.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კანონი შეიძლება ჩაითვალოს განუსაზღვრელად, როცა განმარტების ყველა მეთოდი მოსინჯულია, მაგრამ მაინც გაურკვეველია მისი ნამდვილი შინაარსი, ანდა არსი გასაგებია, მაგრამ გაუგებარია მისი მოქმედების ფარგლები“.<sup>2</sup>

ჩვენს შემთხვევაში, მსჯელობის საგანს წარმოადგენს რამდენად შესაძლებელია სადავო ნორმის ნამდვილი შინაარსის გაგება და მისი მოქმედების ფარგლების განსაზღვრა.

საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით „ნებისმიერი ქმედება, რომელიც პირად თავისუფლებაში ჩარევას უკავშირდება, მკაფიოდ ფორმულირებული საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე, კონსტიტუციით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით უნდა განხორციელდეს“.<sup>3</sup>

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე დაუშვებლად მიიჩნია ნორმის იმგვარი ფორმულირება, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ქმედების სისხლისსამართლებრივი დასჯადობის საკითხის გადაწყვეტა მნიშვნელოვნად იყოს დამოკიდებული სამართალშემფარდებლის ინდივიდუალურ შეფასებაზე და აღნიშნა, რომ „მართალია, შეუძლებელია, კანონმა გაითვალისწინოს ყველა იმ შემთხვევისა თუ სიტუაციის თითოეული ასპექტი, რომელიც მომავალში განვითარდება, მაგრამ კანონმდებელი სისხლის სამართლის კანონმდებლობის განსაზღვრისას ვალდებულია, მიიღოს ნორმა, რომელიც მაქსიმალურად ამცირებს მისი ინტერპრეტაციის ფარგლებში სასამართლოს მიერ განსხვავებული სამართლებრივი შედეგის დადგენის შესაძლებლობას“.<sup>4</sup>

ჩვენს შემთხვევაში, უნდა ვიმსჯელოთ, სადავო ნორმა საკმარისად ამცირებს თუ არა მისი ინტერპრეტაციის ფარგლებს.

ამ საკითხთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს: „ქმედების დასჯადად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღება კანონმდებლის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. შესაბამისად, მან ეს უფლებამოსილება ისე უნდა გამოიყენოს, რომ საშუალება არ მიეცეს

---

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისი №1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-19.

<sup>3</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები - ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26.

<sup>4</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მათიაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-36.

სამართალშემფარდებელს, სამოსამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თავად შექმნას სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების შემადგენლობა“.<sup>5</sup>

დანაშაულის დამდგენი სისხლის სამართლის კანონის განჭვრეტადობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, შესაძლებელი იყოს მისი თითოეული ელემენტის ნამდვილი შინაარსისა და ფარგლების დადგენა, რათა ადრესატმა სწორად აღიქვას კანონი და მისი მოთხოვნების შესაბამისად განახორციელოს თავისი ქცევა, ამასთან, დაცული უნდა იყოს სამართალშემფარდებლის თვითნებობისგან. „აუცილებელია ნორმის შინაარსობრივი სიზუსტე, არაორაზროვნება. ნორმა უნდა იყოს საკმარისად განსაზღვრული არა მხოლოდ შინაარსის, არამედ რეგულირების საგნის, მიზნისა და მასშტაბების მიხედვით, რათა ადრესატმა მოახდინოს კანონის სწორი აღქმა და თავისი ქცევის განხორციელება მის შესაბამისად, განჭვრიტოს ქცევის შედეგები“.<sup>6</sup>

### **განჭვრეტადობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით**

განჭვრეტადობის სტანდარტი კანონიერების პრინციპის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია. ECHR წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს შიდა კანონმდებლობის ისე მოწესრიგებას, რომ ინდივიდმა წინასწარ იცოდეს ის შედეგები, რაც მის შესაძლო ქმედებას მოჰყვება<sup>7</sup>- ამგვარი მიდგომა დაადგინა სასამართლომ საქმეში *Cantoni v. France*, რომელშიც განხილული იყო საფრანგეთის კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლთან შესაბამისობა. საქმეში მოსარჩელე იყო ერთ-ერთი სუპერმარკეტის მენეჯერი. იგი გასამართლდა და მსჯავრდებულ იქნა სამედიცინო პროდუქტების გაყიდვისთვის, რომელთა გაყიდვაც რეგულირებული იყო საფრანგეთის კანონმდებლობით. მოსარჩელე ამტკიებდა, რომ ტერმინის სამედიცინო პროდუქტი“ არ იძლეოდა საკმარის და ნათელ წარმოდგენას მისი განმარტების შესახებ და ამის დასტური იყო ფრანგული სასამართლოების განსხვავებული გადაწყვეტილებები იმის თაობაზე, იყო თუ არა მის მიერ გაყიდული ნივთიერებები „სამედიცინო“ ხასიათის. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ არ დაადგინა მე-7 მუხლის დარღვევა, რამდენადაც მიიჩნია, რომ სუპერმარკეტის მენეჯერს ჰქონდა გარკვეული ვალდებულება მიეღო სამართლებრივი კონსულტაცია

---

<sup>5</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმაღამე და ვახტანგ მასიაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-37.

<sup>6</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის #2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-36.

<sup>7</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1984 წლის გადაწყვეტილება საქმეზე *Malone v. The United Kingdom*.

იმის შესახებ, თუ რა ჩათვლებოდა კანონმდებლობის მიხედვით რეგულირებად სამედიცინო პროდუქტად. განჭვრეტადობის კრიტერიუმი მოითხოვს, რომ კანონი იყოს ზუსტი და ამასთანავე დაბალანსებული მის ზოგად ხასიათთანაც.<sup>8</sup> მე-7 მუხლთან მიმართებით გაზიარებულია შეხედულება, რომ შეუძლებელია კანონი იყოს აბსოლუტურად ცხადი. მეტიც, კანონის არაზოგადმა და ზედმეტად კონკრეტიზირებულმა ფორმამ შესაძლოა მოგვიყვანოს მის მოუქნელობამდე და მისადაგების შეუძლებლობამდე ყველა განსხვავებულ სიტუაციაში - ამგვარი მსჯელობა განავითარა სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის ინტერპრეტირებისას საქმეში *Soros v. France* (პარ. 51). ამდენად, გონივრული ბალანსის დაცვა სიზუსტესა და ზოგადობას შორის ECtHR-ის მიხედვით, აუცილებელია, რათა განჭვრეტადობის სტანდარტი დაკმაყოფილდეს.<sup>9</sup> ამასთან, სიცხადის მოთხოვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მაშინ, როდესაც კანონმდებლობა არეგულირებს დისკრეციულ უფლებამოსილების საკითხს. ამ შემთხვევაში, ECtHR-ის მიდგომის მიხედვით, კანონმდებლობამ ზუსტად უნდა განსაზღვროს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები, თუნდაც აღნიშნული დეტალური ნორმები არ იყოს ძირითადი კანონის ნაწილი.<sup>10</sup> ამასთანავე, სასამართლო აღიარებს, რომ სისხლის სამართლის განვითარება საქმეებისა და პრაქტიკის მიხედვით, სამართლებრივი ტრადიციების მნიშვნელოვანი ნაწილია, შესაბამისად მე-7 მუხლზე საუბრისას იგი არ გამორიცხავს კანონების ეტაპობრივ კლარიფიკაციას სწორედ სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე.<sup>11</sup>

ზოგადად, ECtHR-ის მიხედვით განჭვრეტადობის კრიტერიუმი არ არის აბსტრაქტული ხასიათის, რომელიც მოითხოვს ზოგად სიცხადეს, არამედ ინდივიდს კონკრეტულ შემთხვევებში უნდა შეეძლოს ივარაუდოს ის სამართლებრივი შედეგები, რაც მის ქმედებას მოჰყვება და ის ზომები, რასაც მის მიმართ სახელმწიფო მიიღებს. მიუხედავად ამისა, განჭვრეტადობის სტანდარტს არ არღვევს ის ფაქტი, რომ კანონის გაგება შესაძლებელია მხოლოდ იურიდიული კონსულტაციის საფუძველზე.<sup>12</sup>

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ECtHR განიხილავს იმას, თუ რამდენად დაირღვა კონვენცია კონკრეტულ შემთხვევაში. ამ გაგებით, განჭვრეტადობის კრიტერიუმი არ მოითხოვს კანონის აბსტრაქტულ კონტროლს, არამედ მსჯელობა ეხება მხოლოდ იმ კონკრეტულ შემთხვევას, როდესაც ინდივიდის შეეძლო ან არ შეეძლო წინასწარ განესაზღვრა თუ რა შედეგები მოჰყვებოდა მის ქმედებებს.<sup>13</sup> საქმეში *Steel v. UK*, სადაც ECtHR-ს

---

<sup>8</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის გადაწყვეტილება საქმეზე *Cantoni v. France*.

<sup>9</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 1983 წლის გადაწყვეტილება საქმეზე *Silver and others v. UK*.

<sup>10</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის გადაწყვეტილება საქმეზე *Bykov v. Russia*.

<sup>11</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის გადაწყვეტილება საქმეზე *Khodorkovsky and Lebedev v. Russia*.

<sup>12</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის გადაწყვეტილება საქმეზე *Cantoni v. France*.

<sup>13</sup>Hovius B, *The Limitation Clauses of the European Convention on Human Rights and Freedoms and section 1 of the Canadian Charter of Rights and Freedoms: A Comparative Analysis*, 1986, 18.

უნდა ემსჯელა შიდა კანონმდებლობის სიციხადეზე, სასამართლომ დაადგინა, რომ გამოთქმა “შესაფერისი, დამაკმაყოფილებელი ქმედება” (“*to be of good behavior*”) არ იყო ზუსტი და მოქალაქეს არ უქმნიდა წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლებოდა მისი ქმედება არადამაკმაყოფილებლად. მიუხედავად ნორმის არასიციხადისა, ECtHR-მა დაადგინა, რომ აღნიშნული კანონი მაინც არ იყო იმდენად არაბუნდოვანი, რომ იგი წინააღმდეგობაში მოსულიყო განჭვრეტადობის ზოგად სტანდარტთან. სასამართლომ ჩათვალა, რომ მოქალაქეებს უნდა სცოდნოდათ და მიმხვდარიყვნენ, რომ თავი შეეკავებინათ ჩადენილი ქმედებისგან, რადგან ეს უკანასკნელი არაბუნდოვანი კანონით აკრძალული ქმედების მსგავსი შინაარსის იყო. ამ შემთხვევაში ECtHR-ის სტანდარტი გულისხმობს, რომ თუნდაც კანონის არაზუსტი შემადგენლობა არსებობდეს სახეზე, თუკი ქმედების მსგავსი შინაარსი უკვე აკრძალულია არაბუნდოვანი ნორმით, სადავო ნორმა განჭვრეტადობის სტანდარტს მაინც აკმაყოფილებს.

განჭვრეტადობა ECtHR-ის მიხედვით მოქნილი სტანდარტია, ვინაიდან სასამართლო მოითხოვს მხოლოდ იმას, რომ შედეგები იყოს წინასწარ აღქმადი მოქალაქის მხრიდან. ზოგიერთ საქმეში, რომელიც ეხებოდა უფლებას, არ დაისაჯო კანონის გარეშე, სასამართლომ განჭვრეტადობის ძალიან დაბალი სტანდარტი დაადგინა.<sup>14</sup> თუმცა, მიუხედავად ამისა განჭვრეტადობის სტანდარტის საფუძველზე ECtHR განიხილავს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დისკრეციული უფლებამოსილების საკითხებს და გარდა ამისა ახდენს შიდა კანონმდებლობის ინტერპრეტაციას.

განჭვრეტადობის სტანდარტის სიმკაცრე დამოკიდებულია შიდა კანონმდებლობის შინაარსზე - კანონის ის სფერო, რომელსაც იგი ეხება და იმ პირთა სტატუსი და რაოდენობა, რომელთაც მიემართება კანონი.<sup>15</sup> როდესაც საქმე ეხება პროფესიულ საქმიანობას, ECtHR აწესებს განჭვრეტადობის განსხვავებულ სტანდარტს. ჟურნალისტები, გამომცემლები და საგამომცემლო კომპანიები უნდა გამოირჩეოდნენ სიფრთხილის მაღალი ზომით, როდესაც მიყვებიან თავიანთ საქმიანობას. ივარაუდება, რომ ისინი კარგად იცნობენ კანონს მათი საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებით და იღებენ რჩევებს სპეციალისტებისგან.<sup>16</sup>

მოთხოვნა, რომ კანონი იყოს არაბუნდოვანი და ზუსტი დამოკიდებულია სფეროზე, რომელსაც ის ეხება. კანონის ზოგიერთ სფეროში, ECtHR-მა მიუთითა, რომ განჭვრეტობა არ მოითხოვს სიზუსტის მაღალ ხარისხს. პირველ რიგში, იმ სფეროებში სადაც კანონი ხშირად იცვლება, როგორცაა კონკურენცია, სიზუსტისა და სიციხადის მოთხოვნა უფრო დაბალია. მაგალითად, საქმეში *Markt Intern Verlag GmbH and Klaus Beermann v. Germany* სასამართლომ აღნიშნა, რომ ისეთ სფეროში, როგორცაა კონკურენცია, კანონის

---

<sup>14</sup>Hovius B, *The Limitation Clauses of the European Convention on Human Rights and Freedoms and section 1 of the Canadian Charter of Rights and Freedoms: A Comparative Analysis*, 1986, 16.

<sup>15</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის გადაწყვეტილება საქმეზე *Chorherr v. Austria*.

<sup>16</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის გადაწყვეტილება საქმეზე *Chauvy and others v. France*.

ისეთი სახით ჩამოყალიბება, რომელიც არაა აბსოლუტურად ზუსტად დეტალიზირებული, არ არღვევს განჭვრეტადობის სტანდარტს. მეორე მხრივ, განჭვრეტადობის სტანდარტი დაბალია ისეთ სფეროში, როგორცაა სახელმწიფოს თავდაცვა. იმ პირებისთვის, ვინც მუშაობენ თავდაცვის სფეროში, არაა საჭირო რომ დეტალურად იყოს განსაზღვრული კანონი იმის შესახებ, თუ რა ტიპის შემოწმება უნდა ჩატარდეს სპეციალური დაცვის თანამშრომლის მხრიდან ყველა კონკრეტულ შემთხვევაში.<sup>17</sup> ასევე, განჭვრეტადობის სტანდარტი დაბალია, როდესაც საქმე ეხება საკონსტიტუციო სამართალს, რადგან მხედველობაში უნდა მივიღოთ კონსტიტუციების ზოგადი, არადეტალიზირებული ფორმა. სამართლის ამ დისციპლინაში განჭვრეტადობის სტანდარტი მოითხოვს ნორმის მხოლოდ ზოგად ხასიათს.<sup>18</sup> ამის მიზეზი არის ის, რომ სამართლის ეს დისციპლინა არ შემოსაზღვრავს კონკრეტულ ქმედებებს, არამედ აყალიბებს ქმედების ზოგად ხასიათს, რომელიც შემდეგ განიმარტება და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ითვლება კონსტიტუციასთან შესაბამისად ან შეუსაბამოდ.

ECtHR-ის ერთ-ერთი საინტერესო საქმე იყო 2014 წელს განხილული *Ashlarba v. Georgia*, რომელშიც განმცხადებლის მტკიცებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup> -ე მუხლის პირველი პუნქტი - ქურდული სამყაროს წევრობა, რომლის საფუძვლზეც ის იქნა მსჯავრდებული, არ იყო საკმარისად ნათელი და განჭვრეტადი, რათა დარეგულირებულიყო მისი ქმედება შესაბამისად. აღნიშნულ საქმეში ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-7 მუხლის დარღვევა, რისი მთავარი მიზეზიც იყო ის, რომ საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ცალკეული კანონები და ნორმები, ერთიანობაში სადავო ნორმასთან, ცხადყოფდა „ქურდული სამყაროს წევრობის“ დეფინიციას და შესაბამისად, არ იდგა ნორმის განჭვრეტადობის პრობლემა.

განჭვრეტადობის სტანდარტი შედარებით ადვილად კმაყოფილდება, როდესაც სასამართლო პრაქტიკა, რომელიც განმარტავს ნორმას (interpretative case-law), წინასწარი სამუშაოები (travaux preparatoires) ან ინსტრუქციები არსებობს. სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონის აბსოლუტური სიზუსტით არსებობა შეუძლებელია, ხშირად სასამართლოს მხრიდან კანონის ინტერპრეტაცია არის საჭირო იმისათვის, რომ გამოიკვეთოს მნიშვნელოვანი საკვანძო საკითხები და კანონი ადაპტირდეს შეცვლილ გარემოებებთან.<sup>19</sup> სიზუსტის ის ხარისხი, რასაც სასამართლო მოითხოვს შიდა კანონმდებლობისაგან მნიშვნელოვანწილად ემყარება შიდა კანონმდებლობაში არსებულ სასამართლო პრაქტიკას, რომელიც ნორმას განმარტავს (interpretative case-law). მაშინაც კი, როდესაც შიდა კანონმდებლობა ბუნდოვანია, სასამართლო არ დაადგენს განჭვრეტადობის სტანდარტის დარღვევას, თუკი არსებობს სადავო კანონმდებლობის განმარტებისთვის საკმარისი საქმეები. ECtHR-მა მკაცრად დაადგინა სასამართლო ხელისუფლების

<sup>17</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1987 წლის გადაწყვეტილება საქმეზე *Leander v. Sweden*.

<sup>18</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის გადაწყვეტილება საქმეზე *Rekvenyi v. Hungary*.

<sup>19</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის გადაწყვეტილება საქმეზე *Baskaya and Okcuoglu v. Turkey*.

ცენტრალური როლი კანონის ინტერპრეტაციისას: “რაც არ უნდა ცხადი იყოს კანონი, იგი მაინც მოითხოვს სასამართლოს მხრიდან ინტერპრეტაციას, რადგან ყოველთვის იდგება საჭიროება იმისა, რომ საეჭვო საკვანძო საკითხები და საკითხების ახალ გარემოებებთან შესაბამისობა დაზუსტდეს. საეჭვო საკვანძო საკითხების არსებობა თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ კანონი ბუნდოვანია. კანონის ბუნდოვანებაზე ასევე არ მიუთითებს ის ფაქტიც, რომ შესაძლებელია კანონის განმარტება რამდენიმე გაგებით. სასამართლოს როლი ამ მხრივ სწორედ ისაა, რომ მოახდინოს ამგვარი საეჭვო საკვანძო საკითხების დაზუსტება, განმარტოს კანონები და შეუსაბამოს იგი ყოველდღიურ პრაქტიკას.”<sup>20</sup>

თუკი კანონში გამოყენებული ტერმინები ბუნდოვანია, ინტერპრეტაციის საშუალებით შეიძლება მოხდეს დეფექტების გამოსწორება და განჭვრეტადობის სტანდარტი არ დაირღვეს. ამ კუთხით, ECtHR-მა ხაზი გაუსვა შიდა case-law-ს მნიშვნელობას.<sup>21</sup> ამასთან, განჭვრეტადობის სტანდარტი უფრო ადვილად კმაყოფილდება მაშინ, როდესაც წინასწარი სამუშაოები, რომელიც ეხება კონკრეტულ ნორმას, ხელმისაწვდომია. ასევე, ინსტრუქციები და ადმინისტრაციული პრაქტიკა ასევე ეხმარება სადავო კანონს განჭვრეტადობის სტანდარტის დაკმაყოფილებაში. მაგალითად, საქმეში *Silver v. UK* დირექტივების არსებობამ, რომლებიც განმარტავდა ზოგადი სახით ფორმულირებულ აქტს, განაპირობა ის შედეგი, რომ ნორმამ დააკმაყოფილა განჭვრეტადობის სტანდარტი.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ განჭვრეტადობის კრიტერიუმი მოქნილია და მიზნად ისახავს ინდივიდისთვის, საკუთარი ქმედებების სამომავლო შედეგების, წინასწარი გააზრების შესაძლებლობის მიცემას. ECtHR-ის მხრიდან სიმკაცრის დონე, რასაც იგი იჩენს სტანდარტის მიხედვით დამოკიდებულია იმაზე, თუ კანონის რომელ სფეროს ეხება საქმე და რამდენად არსებობს მოსამზადებელი სამუშაოები, ინსტრუქციები და სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ნორმას განმარტავს (interpretative case law).

## კანადა<sup>22</sup>

კანადის სისხლის სამართლის კოდექსის 163-ე მუხლი ითვალისწინებს პორნოგრაფიის ფაბრიკაციის, გავრცელებისა და გავრცელების მიზნით ფლობისათვის პასუხისმგებლობას. ნორმა პორნოგრაფიას განმარტავს როგორც „უხამს“ პუბლიკაციას. სისხლისსამართლებრივად დასჯადია ასევე უხამსი მასალის ელექტრონული ფოსტით გავრცელება ან „უხამსი ან ამორალური“ თეატრალური წარმოდგენის გამართვა.

<sup>20</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის გადაწყვეტილება საქმეზე *Gorzelik and others v. Poland*.

<sup>21</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Kristin v. France*.

<sup>22</sup>Casavant L., Robertsob J., *The Evolution of Pornography Law in Canada*, 5; იხ. <http://www.lop.parl.gc.ca/content/lop/researchpublications/843-e.pdf> [25.10.2007].



მთავარი საკითხს, ამ აკრძალვისათვის, წარმოადგენს „უხამსობის“ განსაზღვრის სირთულე, რასაც განმარტავს 163-8-ე მუხლი: „ამ მუხლისათვის „უხამსობად“ ითვლება ნებისმიერი მასალა, რომლის მთავარი საგანია ზომიერად აღსაყალიბებელი სექსუალური ექსპლუატაციის ან სექსუალური აქტის და სისასტიკის ან ძალადობის ჩვენება.“

რას ნიშნავს „ზომიერად აღსაყალიბებელი“ დიდწილად მაინც საზოგადო აზრზე დამოკიდებული. თუ კანადის საზოგადოება ტოლერანტულ დამოკიდებულებას გამოიჩინდა კონკრეტული მასალისადმი, მაშინ აღნიშნული ვერ ჩაითვლება „უხამსობად“. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანადის უზენაესმა სასამართლომ Butler-ის საქმეში განმარტა, რომ საზოგადო აზრზე დამყარებული ტესტი ეყრდნობა არა იმას, თითოეული კანადელი რას არ უსურვებდა საკუთარ თავს, არამედ იმას, რას არ უსურვებდა ის სხვა კანადელს.<sup>23</sup>

აღნიშნულ საქმეში მოსარჩელე ბატლერს ბრალი ედებოდა „უხამსი“ მასალის ფლობა-გაყიდვაში, სისხლის სამართლის კოდექსის 163-ე მუხლის საფუძველზე. ის დააკავეს და მოხდა მის მფლობელობაში არსებული პორნოგრაფიული მასალის კონფისკაცია. თუმცა, რამდენიმე თვეში მან კვლავ განაახლა „უხამსი“ მასალის გავრცელება, რის შემდეგაც კვლავ დააკავეს. მოსარჩელე აცხადებდა, რომ დაირღვა მისი გამოხატვის თავისუფლება. კანადის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული არ მიიჩნია დარღვევად.

სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა პორნოგრაფიული მასალის განსაზღვრასთან დაკავშირებით: „[პორნოგრაფიული] შეურაცხმყოფელი და არაკუმანური მასალები წარმოაჩენენ ქალს (ზოგ შემთხვევაში მამაკაცს), როგორც მონური მორჩილების მაგალითს, რაც მათ დამამცირებელ მდგომარეობაში აყენებს. ეს ეწინააღმდეგება თანასწორობის პრინციპს და ადამიანის ღირსებას, მიუხედავად იმისა, ასეთი ქმედება განხორციელდა თუ არა მასში მონაწილე პირთა თავისუფალი ნების საფუძველზე“.<sup>24</sup>

სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დაირღვა „უხამსობის“ სტანდარტი არა იმიტომ, რომ ეს ქმედება ამორალურია, არამედ იმიტომ, რომ ის დამაზიანებელია საზოგადოებისთვის.<sup>25</sup> შესაბამისად, სასამართლო დაეყრდნო 163-8-ე მუხლის განმარტებას და არ დასჭირდა, რომ „პორნოგრაფიის“ განსაზღვრების ფარგლები თვითონ დაედგინა.

„უხამსობის“ სტანდარტი ცვალებადია, რადგან ის დამოკიდებულია საზოგადოების მიმდებლობაზე. დღეს აღნიშნული სტანდარტი უფრო „ლიბერალურია“ იმ შემთხვევაში, როდესაც პორნოგრაფიული მასალის მოპოვება ნებაყოფლობით ხდება, მაგრამ შედარებით მკაცრია მაგალითად ტელევიზიის შემთხვევაში,

---

<sup>23</sup>R. v. Butler, [1992] 1 S.C.R. 452, პარ 31.

<sup>24</sup>R. v. Butler, [1992] 1 S.C.R. 452, პარ 33.

<sup>25</sup> იქვე.

რომლის გავრცელების მასშტაბიც უფრო ფართოა.

კანადის სისხლის სამართლის კოდექსის 163.1-ე მუხლი ასევე ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ბავშვთა პორნოგრაფიის დამზადების და გავრცელებისთვის. ამასთანავე, დასჯადია ასეთი მასალის ფლობაც. აღსანიშნავია, რომ აკრძალულია როგორც იმ მასალის გავრცელება, სადაც მონაწილეობენ 18 წელს მიუღწეველი პირები, ასევე ის შემთხვევაც, როდესაც მსახიობები წარმოჩენილნი არიან ასეთებად.

გარდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულისა, 1985 წლამდე, კანადაში იკრძალებოდა „ამორალური და ურცხვი“ ხასიათის მატარებელი მასალის შეტანა. თუმცა, აკრძალვის ფარგლები უფრო ფართო იყო, ვიდრე დღევანდელ სისხლის სამართლის კოდექსში გამოყენებული ტერმინი „უხამსობის“. 1985 წლის 14 მარტს კანადის ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ზემოაღნიშნული ნორმა, რადგან მიიჩნია, რომ ის ზედმეტად ბუნდოვანი იყო იმისათვის, რომ დაეკმაყოფილებინა გამოხატვის თავისუფლების მოთხოვნები.

„უხამსობის“ სტანდარტს ბევრი აკრიტიკებს და მიიჩნევს, რომ სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების განსაზღვრება დამოკიდებული არ უნდა იყოს საზოგადო აზრზე, არამედ უნდა არსებობდეს ობიექტური სტანდარტი. ასევე მიიჩნევენ, რომ თუ პორნოგრაფიას რაიმე ზიანი მოაქვს საზოგადოებისთვის, ის ობიექტურად შეფასებადი უნდა იყოს.

რამდენჯერმე იყო მცდელობა, რომ დაზუსტებულიყო პორნოგრაფიის შინაარსი, მაგრამ უკეთეს განსაზღვრებას კანადის კანონმდებლობამ ჯერჯერობით ვერ მიაგნო.

## ისრაელი

კანონიერების პრინციპი გვავალდებულებს თავი შევიკავოთ პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას მისგან გადამეტებული მოთხოვნები არ გვქონდეს. ამგვარი მოთხოვნების წამოყენება სამართლებრივ სისტემას ჩააყენებს დამაბულ მდგომარეობაში, შედეგად კი მივიღებთ კანონიერების პრინციპის დარღვევას. მაგალითად, დაუდევრობა განისაზღვრება მხოლოდ კოგნიტური ასპექტით. როდესაც პირი წინასწარ განსაზღვრავს თავისი მოქმედების რეალურ და კონკრეტულ შედეგებს, მას შეუძლია ამ მოქმედებისაგან თავი შეიკავოს. თუ პირი ითვალისწინებდა ამგვარ შედეგს, ის შეგნებულად და ჰიპოთეტურად (ex hypothesi) რისკავდა დაცულ ინტერესს. ეს საკმარისია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის, რადგან ისრაელის სამართლის სისტემიდან გამომდინარე, რომელიც იცავს მნიშვნელოვან ინტერესებს, ამგვარი მენტალური დამოკიდებულება საკმარისად გასაკიცხად მიიჩნევა. მეტის მოთხოვნა (დამოუკიდებელი დამატებითი

ნებაყოფლობითი ასპექტი) კი არ არის გამართლებული და წარმოშობს მძიმე, სავარაუდოდ გადაულახავ მტკიცების პრობლემას.<sup>26</sup>

ისრაელის უზენაესი სასამართლოს განმარტების მიხედვით, სისხლის სამართლის მნიშვნელოვანი ასპექტია, რომ კანონის არცოდნა გამამართლებელი საბუთი არ არის. ეს წესი კი კანონიერების პრინციპს ეფუძნება, რომელიც კანონში მკვეთრი ზღვარის გავლებას მოითხოვს მათ შორის, რაც ნებადართულია და რაც აკრძალულია საზოგადოების ყველა წევრისათვის თანაბრად. დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობა ეფუძნება არა პირის სუბიექტურ გაგებას, ინტერპრეტაციას და ცოდნას, არამედ სასამართლოს მიერ კანონის ინტერპრეტაციას სამართლიანობის მიღწევის მიზნიდან გამომდინარე.<sup>27</sup>

კანონის ბუნდოვანებისას ზოგადად ინტერპრეტაციის ორი საფუძველი გამოიყენება: პირველია სისხლის სამართლის ნორმის მკაცრი ინტერპრეტაცია, რომელიც ვერბალურ ლოგიკას (ratio verborum) ემყარება. ძირითადად, თუ ეს სტადია არანაირ შედეგს არ იძლევა, გადავდივართ მეორე სტადიაზე, რაც გულისხმობს ნორმის მიზნიდან გამომდინარე განმარტებას (ratio legis). მეორე სტადიაზე განიხილება ნორმის სამართლებრივი მნიშვნელობა და ივსება ვერბალური დანაკლისები.<sup>28</sup>

საქმეში A v. State of Israel მოსამართლეებს მოუწიათ ბუნდოვანი ნორმის განმარტება და ისინი გასცდნენ მხოლოდ კანონის ტექსტს, რადგან ლინგვისტური განმარტება ხშირად სამართლებრივ განმარტებას არ წამოადგენს. მოსამართლე ენგლარდმა აღნიშნა, რომ კანონიერების პრინციპს სისხლის სამართალში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ისრაელის სისხლის სამართლის კოდექსის 34U პუნქტი პირდაპირ მიუთითებს, რომ თუ არსებობს სისხლის სამართლის ნორმის რამდენიმე ინტერპრეტაცია, ბრალდებულს უნდა დაეკისროს ყველაზე მსუბუქი სასჯელი. კანონიერების პრინციპი ამიტომ კანონმდებელს აკისრებს პასუხისმგებლობას, რომ კანონის შემადგენლობა (actus reus) იყოს მაქსიმალურად განჭვრეტადი და მოქალაქეს შეეძლოს განსხვავება, რა არის ნებადართული და რა აკრძალული.<sup>29</sup>

## გერმანია

კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრესი ელემენტი კანონის განჭვრეტადობაა. კანონის განსაზღვრულობის საკითხს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც (ECtHR).

---

<sup>26</sup>Friedman, R.R., *Crime And Criminal Justice In Israel, Assessing the Knowledge Base toward the Twenty-First Century*, State University of New York Press, Albany, 1998, pp. 201-202.

<sup>27</sup>State of Israel v. Tnuva Co-Op Ltd., ისრაელის უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

<sup>28</sup>Hallev G., *A Modern Treatise on the Principle of Legality in Criminal Law*, 2010, გვ. 149-151.

<sup>29</sup>A v. State of Israel, ისრაელის უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება.

ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სტანდარტის თანახმად, კანონმდებელი ვალდებულია ნორმა ცხადად, გარკვევით და არაორაზროვნად ჩამოაყალიბოს. გარდა ამისა, მან მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს რიგითი მოქალაქისთვის კანონის ხელმისაწვდომობა. სასამართლოს ამ სტანდარტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელშემკვრელი ქვეყნების სამართლის სისტემებისთვის.

ევროპული სასამართლოს მიდგომას იზიარებს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო (BGH), რომელიც თავის გადაწყვეტილებებში კიდევ უფრო აკონკრეტებს კანონის განჭვრეტადობის პრინციპს. სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტით, „კანონმდებელმა სასჯელის დაკისრების უფლებამოსილება ერთმნიშვნელოვნად უნდა ჩამოაყალიბოს კანონში და ამასთან, იმდენად მკაფიოდ უნდა განსაზღვროს ამ უფლებამოსილების შინაარსი, მიზანი და მოცულობა (მასშტაბი), რომ სასჯელის წინაპირობები და მისი სახეობა მოქალაქემ განჭვრიტოს თვითონ უფლებამოსილების ფორმულირებიდან და არა - მის საფუძველზე გამოცემული განკარგულებიდან“.<sup>30</sup>

იმპერატიული მოთხოვნა იმისა, რომ მოქალაქეს თვითონ უნდა შეეძლოს სასჯელის ზომის განჭვრეტა (კანონის შინაარსის განსაზღვრულობა), ფორმულირებულია გერმანიის ძირითად კანონშიც - ქმედების დასჯადობა „კანონით გათვალისწინებული და განსაზღვრული“ უნდა იყოს.<sup>31</sup> კანონმდებლის ამგვარი ვალდებულება კი სწორედ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს.

კანონის განჭვრეტადობის მოთხოვნის კონსტიტუციურ დონეზე ატანა კიდევ ერთხელ მიუთითებს აღნიშნული საკითხის მნიშვნელობაზე. განჭვრეტადობის მოთხოვნა ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას ერთ-ერთი გადამწყვეტი კრიტერიუმია.

სასამართლო აღნიშნულ სტანდარტს იმეორებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში და აღნიშნავს, რომ „სისხლის სამართლის კანონმდებელი მაშინ შეასრულებს თავის მოვალეობას, როდესაც სანქციის შერჩევას იმდენად ზუსტად მოახერხებს სისხლის სამართლის მოსამართლის ორიენტირებას, რომ მოსამართლისათვის შესაძლებელი გახდება ბრალისათვის შესაბამისი, ადეკვატური რეაქციის განსაზღვრა და გათვალისწინება. კანონმდებელი ვალდებულია, თვითონ მიიღოს პრინციპული გადაწყვეტილებები სავარაუდო სამართლებრივი შედეგების სახესა და მასშტაბთან დაკავშირებით და მოსამართლეს შეძლებისდაგვარად მკაფიოდ მიუთითოს ზღვარი, რომლის ფარგლებშიც იგი იმოქმედებს“.<sup>32</sup>

სასამართლო კანონმდებელს კანონის განსაზღვრულობის პოზიტიურ ვალდებულებას უდგენს და საკმაოდ

<sup>30</sup>იურ გენშვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2011, 359.

<sup>31</sup>იხ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი, 1949 წელი, 23 მაისი, მუხლი 103 (2).

<sup>32</sup>იურ გენშვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2011, მეორე სენატის 2002 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება - 2 BvR 794/95, 374.

მაღალ სტანდარტს აწესებს მაშინ, როდესაც საქმე ადამიანის უფლებაში ჩარევას ეხება.

როგორც ვხედავთ, სასამართლოსათვის ამოსავალი წერტილი ადამიანის უფლებაში ჩარევაა (მაგ. ჯარიმა, თავისუფლების შეზღუდვა, თავისუფლების აღკვეთა, გადაადგილების შეზღუდვა). სასამართლოს აზრით, რაც უფრო მაღალია უფლებაში ჩარევის ხარისხი, მით უფრო იზრდება კანონის განჭვრეტადობის მოთხოვნა.

თუმცა, აქვე უნდა აღნიშნოს ისიც, რომ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო არ ცდილობს უნივერსალური სტანდარტის დადგენასა და მის პრაქტიკაში განხორციელებას. თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლო მკაფიოდ ემიჯნება კანონისმიერი განსაზღვრების ზოგადობის მოთხოვნას და მიიჩნევს, რომ კანონის განჭვრეტადობის სტანდარტი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვაგვარია და დამოკიდებულია უფლებაში ჩარევის ინტენსივობაზე.<sup>33</sup>

პირველ რიგში, განჭვრეტადობის მოთხოვნას ნორმის შინაარსობრივი ნაწილი უნდა აკმაყოფილებდეს. თუ საკანონმდებლო ნორმა ობიექტურადარ იკითხება ან მისი შინაარსი იმდენად გაურკვეველი, ბუნდოვანი და ორაზროვანია, რომ რიგით მოქალაქეს არ შეუძლია მისი სამართლებრივი შედეგის განჭვრეტა (პროგნოზირება), მაშინ კანონმდებლის მხრიდან ირღვევა ზემოაღნიშნული პრინციპი.

გერმანული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ გერმანული სამართლის სისტემა სისხლისსამართლებრივ ნორმათა განსაზღვრულობის პრინციპს კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ელემენტად მიიჩნევს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამოადგება სასამართლოს მეგობრის ზემოაღნიშნული მოსაზრება და სტუდენტების მიერ ჩატარებული კვლევა.

---

<sup>33</sup>იქვე, 375.



## IV.თანდართული დოკუმენტების სია

ა. დოკუმენტები, რომლებიც სასურველია ერთვოდეს მოსაზრებას (გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა)

- |  |                          |
|--|--------------------------|
| 1. სადავო ნორმატიული აქტის ტექსტი.                       | <input type="checkbox"/> |
| 2. „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრების ელექტრონული ვერსია. | <input type="checkbox"/> |

ბ. სხვა დოკუმენტები:

- 1.
- 2.

მოსაზრების ავტორის ხელმოწერა:

თარიღი: